ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №4

ქ. თბილისი **2013 წლის 1 აგვისტო**

სხდომას ესწრებოდა წარმომადგენლობითი საბჭოს 18 წევრი: 1. გაგნიძე ინეზა 2. თოდუა ნუგზარი 3. ჩაბაკაური გიორგი 4. ელიაშვილი მერაბი 5. თუთბერიძე ბეჟანი 6. ომანაძე როლანდი 7. კერესელიძე დავითი 8. პაპაშვილი თამარი 9. ჭალიძე ივერი 10. მარგველიშვილი ვლადიმერი 11. მაცაბერიძე მალხაზი 12. ჩოხელი ლევანი 13. ბარამიძე ცირა 14. ბახტაძე მიხეილი 15. ბრაჭული ირაკლი 16. გელოვანი ნანი 17. ჯღამაძე უჩა 18. გაიპარაშვილი ზურაბი (დანართი 1)

ა(ა)იპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–19 მუხლის მე–3 პუნქტის თანახმად, სხდომის თავმჯდომარის კანდიდატურად დასახელდა მერაბ ელიაშვილი, რომელიც წარმომადგენლობითმა საბჭომ ერთხმად აირჩია სხდომის თავმჯდომარედ.

დღის წესრიგი

1. გიორგი გალდავასთვის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსის შეწყვეტა.

2. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობის კანდიდატთა კონცეფციების მოსმენა.

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. წარმომადგენლობითი საბჭოს აპარატის უფროსმა, დიმიტრი გეგენავამ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო ინფორმაცია წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის, გიორგი გალდავას აკადემიურ საბჭოში არჩევის შესახებ. თსუ-ის წესდების შესაბამისად, იკრძალება აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების წევრობა ერთდროულად, რის გამოც პროფესორმა გიორგი გალდავამ მიმართა წარმომადგენლობით საბჭოს წევრის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა
მომხრე: 18
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გიორგი გალდავას შეუწყდეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსი.

2. სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა მერაბ ელიაშვილმა წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო თსუ-ის რექტორობის კანდიდატები: ვლადიმერ პაპავა, მარინა მუსხელიშვილი, ცირა ბარამიძე, ინესა მერაბიშვილი, მერაბ ცაგარელი, გიორგი ქავთარაძე, მანანა ხაჩიძე, ილია თავხელიძე, მედეა ჩუხუა და აღნიშნა, რომ რამდენიმე კანდიდატმა ობიექტური მიზეზების გამო ვერ მოახერხა სხდომაზე დასწრება.

რექტორობის კანდიდატებმა წარმოადგინეს თავიანი კონცეფცია და პროგრამა.

საკითხთან დაკავშირებით კენჭისყრა არ გამართულა.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სხდომის თავმჯდომარე: მ. ელიაშვილი

წარმომადგენლობითი საბჭოს
აპარატის უფროსი: დ. გეგენავა